# ნიანგი

№ 9 აპრილი 1934 წ. ფ. 40 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისინი (პარტიის ზოგიერთი წევრები) სიხარულით ხვთსა
თ კუნტრუშობდენ იმის მო ლოდინში, რომ მალე არ იქ
ა არავითარი კლასები, —მაშასადამე, არ იქნება კლა-
ვრივი ბრძოლა, — მაშასადამე, არ იქნება ზრუნვა და
ლვარება.—მაშასადამე, შეიძლება დავყაროთ იარაღი
ძილს მივეცეთ უკლასო საზოგადოების მოსვლის მო-
ლოდინში“.

(ამხ. სტალინის მოხსენებიდან მე-17 ყრილობაზე).




ურაკლილიდან")

9/V 1934წ. 33
95

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თადეოზი

თქვენ, მგონი, იცნობთ თადეოზს არ შეიძლება, რომ არ იცნობდეთ! ის თვითონ გაგაცნობდათ თავს, თუ კი რაიმე შემთხვევა მიეცემოდა ამისათვის!

აგიწერთ მე მას ისე, რომ გვარს არ გამოვაცხადებ, შეიძლება სახელიც შევცვალო, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თქვენ მიხვდებით, ვისზედაც ვლაპარაკობ!

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მე თქვენ თადეოზის გარეგნობას აგიწერთ და ამ ხერხით გაგაცნობთ მას. არა! ადამიანის გარეგნობის აღწერა, რაც უნდა განსხვავდებოდეს ის სხვებისაგან, სრულებით არ შემიძლია.

ერთხელ, მახსოვს, ერთ ქალს აუწერე ერთი ლამაზი ვაჟის გარეგნობა. ქალმა გაოცებით დაჭყიტა თვალები და მითხრა:

— რასაც შენ ამბობ, ის ახალგაზრდა თუ ამნაირია,—ლამაზი კი არა, იმაზე უმახინჯესი ადამიანი ჯერ არც კი დაბადებულაო!

მე უფრო მეხერხება კაცის გუნების, შინაგანი თვისების აღწერა-დასურათხატება.

აი, მაგალითად, ეს თადეოზი. ის სულ ჩვეულებრივი გარეგნული შეხედულების კაცია: არც მაღალი, არც გამხდარი, არც მსუქანი, არც ახალგაზრდა, არც ხნიერი,—თუმცა მისი სიტყვით, ცხრაას ხუთის მოძრაობაში დიდი მონაწილეობა მიუღია! — ერთი სიტყვით ისეთი, რომლის მსგავსი ქალაქის ქუჩაზე თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ, თუ ეს ქუჩა ჩანგრეული არ არის ისე, როგორც ზოგი ქუჩები და ზედ გავლა კი შეიძლება!

თითო-ოროლას სოფელშიაც შეხვდებით ასეთი გარეგნული შეხედულების კაცს, მაგრამ ესეც სოფელზეა დამოკიდებული: დიდ სოფელში მეტსაც ნახავთ, პატარაში—ნაკლებს.

ბუნებით და შინაარსით კი იშვიათად მოიპოვებიან ისეთი ტიპები, როგორიც არის თადეოზი.

მე მას გავეცანი მსოფლიო ომის დროს, როდესაც თვითმპყრობელი მეფის გენერლები ბრძოლებს უბრძოლველად აგებდენ.

კი არ გეგონოთ, რომ ჩვენი გაცნობა ომის ფრონტზე მოხდა. არა! მე ამ ომის პრინციპიალურად მოწინააღმდეგე ვიყავი და ყოველ ღონეს ვხმარობდი, რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავი მისი ფრონტიდან.

თადეოზიც პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო ამ ომის. მაგრამ რომელიღაც სამხედრო დაწესებულებაში მსახურობდა, რაღაც პაგონებით მხრებზე, მასაც საკმაოდ შორს ეჭირა თავი ომის ფრონტიდან.

ომზე ლაპარაკის დროს კი ისეთ სტრატეგიულ ცოდნას იჩენდა, ისე ააშკარავებდა გენერლების სრულ უვიცობას ამ საქმეში, რომ გულუბრყვილო მსმენელი ოცნებურად გაიფიქრებდა: „ნიკოლოზ მეფე უსათუოდ მოიგებდა ომს, რომ თადეოზი მთავარსარდალი ყოფილიყოო.

როდესაც თვითმპყრობელობა დაემხო და მეფის მოადგილის მემკვიდრეობას ჩვენში მენშევიკები დაეუფლენ, თადეოზს რაღაც უჩინარი საქმე მიანდეს, რაც მან ვერ შეასრულა ხეირიანად და ამიტომ მეტად უკმაყოფილო იყო მენშევიკებზე.

გამარჯვებული პროლეტარიატის და გლეხკაცობის რევოლუციურმა ტალღებმა ჩემდა მოულოდნელად წამომატივტივეს ზემოთ. რის შემდეგ ვერსად ვამჩნევდი ჩემს ნაცნობს თადეოზს.

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შევხვდი მას, მარა ვერ იყო რატომღაც კარგ გუნებაზე. ყველაფერის შესახებ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა; არაფერი არ მოსწონდა; საქმეები ვერ მიდიოდენ, მისი სიტყვით, ისე, როგორც საჭირო იყო.

ასე გამოდიოდა, რომ, თუ ის იქნებოდა არჩეული, ან დანიშნული რაიმე სახელმძღვანელო თანამდებობაზე, სულ სხვაფერ დაატრიალებდა საქმეებს

ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდი თადეოზს, მარა მუდამ უკმაყოფილოს, რადგან არც ირჩევდენ და არც ნიშნავდენ რაიმე სახელმძღვანელო თანამდებობაზე.

თადეოზი თანდათან ჩვეულებრივზე უფრო დაბალი და მხარ-ბეჭებში დავიწროებული მეჩვენებოდა.

მიუხედავად ამისა, თადეოზის ლაპარაკიდან ცხადათ გამოსჭვიოდა ის, რომ, თუ საბჭოთა საქართველოში მაინც წაღმა მიდიოდენ საქმეები, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა თადეოზს თავისი უჩინარი, მაგრამ ფრიად საჭირო მუშაობით.

ერთხელ თადეოზი ვნახე ტრიბუნაზე. მარა რა ვნახე! ის დიდი რიხით ასწორებდა მიწასთან იმ მუშაკებს, რომლებიც ისედაც უკვე გასწორებული იყვენ მიწასთან და მათ ზურგზე ფეხის დადგმა—ფეხის აწევასაც აღარ მოითხოვდა! სამაგიეროდ უჩვეულო ქება-დიდებით იხსენიებდა მათ, რომლებსაც აღარ ესაჭიროებოდა არავითარი მისი ქება-დიდება.

— მე რომ ვყოფილიყავი იმათ ადგილას, — ამბობდა თადეოზი, მიწასთან გასწორებულებზე, — ამ საკითხს მივაქცევდი მთელს ჩემს ყურადღებას; საქმეს შევალევდი მთელ ძალ-ღონეს... ესენი არ გამომჩერებოდენ მხედველობისაგან. ისინი მექნებოდენ მუდამ სახეში!

— და სხვა, და სხვა.

და მართლაც ამ კრებაზე თადეოზი ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აირჩიეს.

როდესაც ამის შემდეგ შევხვდი თადეოზს, ახლა ის უკვე სულ სხვა გუნებაზე იყო: ლაპარაკში დიდი ოპტიმისტობა ეტყობოდა; თითქოს სიმაღლეც მომატებოდა და მხარ-ბეჭებში გაგანიერებულიყო.

მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ თადეოზის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევის შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი გავიდა, აქამდის არც მე და არც თქვენ, მგონი, არ გაგიგონიათ და შეგიმჩნევიათ, თუ რას აქცევს მთელ თავის ყურადღებას და რას ალევს ძალ-ღონეს თადეოზი. ამბობენ—ისეთ რამეებსო, რომლებზედაც არც კი ღირს ყურადღების მიქცევაო, ან და რასაც ნაკლებ შეაჩერებს მათზე ყურადღებას, მით უკეთესი იქნებაო....

ხომ გამოიცანით ეხლა თადეოზის ვინაობა?

რაო? ასეთები ბევრი არიან და არა მარტო ეს თადეოზი?

გეთანხმებით!...

ს. თ—ია.

# გარღვევა

უკანასკნელად მე შემემთხვა არა ერთი და ორი, არამედ მთელი რიგი სამარცხვინო გარღვევებისა....

თქვენ გნებავთ დეტალები?

ინებეთ:

მე, რომელსაც დიდი ხანია ახალი სამოსი მინდა, შევდივარ მაღაზიაში.

მაღაზიები გატენილია საქონლით. საქონელი თაროებზე ვეღარ ეტევა. დახლები სავსეა საქონლით. საქონლის ნაწილი ნოქრებს ზურგზე კიდიათ (ტყუა არ არის!). ზოგიერთი გულმავიწყს სახლშიაც მიაქვს...

ხალხი — აურაცხელი. აქ არიან კოლმეურნეები, ერთპიროვნული გლეხები (ზვოლინდელი კოლმეურნეები), რომელთაც სოფლის ნაწარმი გაუყიდიათ და ახლა ქალაქისას ყიდულობენ: აქ არიან კულაკები — უკანასკნელი მოჰიკანები, აქ არიან მუშა-მოსამსახურენი, შინა - მრეწველნი და შიგა და შიგ — მოსახლეობის შეუკავშირებელი ფენებიც! აქ არიან... ურიჰოო! ერთი ამათ უყურეთ! ჩემი ოლინკა (საცოლე გახლავთ, გაიცანით!) თავისი დედმამით, დეიდებით და მამიდებით!...

ოლინკას სამი წელიწადია ვირთავ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შევირთე: მის გემოვნებაზე ვერ გამოვეწყვე და ისე არ მომყვება. ახლა კი, ამ დიდ ბაზრობას რა ღმერთი გაუწყრება, რომ მაგის საკადრისი ტანისამოსი ვერ შემძინოს?!

კუთხეში მივიმალე, რომ არ დავენახე და სრული 2 საათი ასე ვიდექი. ამ პერიოდში ზეპირად შევისწავლე მაღაზიის ყველა ლოზუნგები. მათ შორის ერთი ყველაზე უფრო მომეწონა: „მომხმარებელო, იყავ ზრდილი ნოქართან — იგი კიდევ უფრო ზრდილად მოგეპყრობა".

— გენაცვალე სულში! ზრდილობა ჩემი თუის, საქონელი თქვენი.

და როგორც კი ჩემები მაღაზიიდან გავიდნენ, უცბათ გავარღვიე ხალხი და ნოქარ ქალს მივვარდი:

— „აბა, ზრდილობა! ულტრა ჯენტლემენტობა!" ვეუბნები თავს, ქუდს ვუხდი ნოქარ ქალს, ძალით ვართმევ ხელს და განცვიფრებულს [illegible] ვეამბორები ხელზე...

— რას შვებით, მოქალაქევ, ეგ რა წესია?! — ნახევრად აღშფოთებით, ნახევრად დაბნეულად მეუბნება იგი.

მე მიკვირს ეს დაბნევა, მაგრამ არ ვიმჩნევ და უდიდესი პათოსით ვარჩევ მზა კოსტიუმებს. ვყიდულობ ერთს — მკერავტრესტის პირველ ფაბრიკაში დამზადებულს. წამოსვლისას მინდა კიდევ ერთხელ ვაკოცო ხელზე ქალს, მაგრამ იგი მიმიხვდა და თაროს მოუბრუნდა.

გადავდივარ საზაფხულო პალტოს საყიდლად

— „იყავ ზრდილი გამყიდველთან"... დაღადებს ლოზუნგი.

— მათე, მათე! — მესმის ნოქარის მისამართით (ეს უკვე მამაკაცია, საკმაოდ ხნიერი).

— ძვირფასო ამხანაგო მათე, — ვეუბნები მეც, — გამარჯვება! (ხელს ვართმევ).

ნოქარი გაკვირვებით მიცქერის.

— სხვა, ამხანაგო მათე, ოჯახში როგორ? ცოლშვილი ხომ კარგად? რატომ არ შემოდიხართ ხოლმე? — ვეუბნები.

მათე ვერ მცნობს, რადგან თავის დღეში არ ვუნახივარ, მაგრამ მე ვიცავ ზრდილობის წესებს. ასეთი ზრდილობითვე ვყიდულობ პალტოს სარეწით კავშირის ფეხსაცმელებს და ქუდს.

მეორე დღეს, სამგალითოდ მორთული მე მივდივარ ოლინკასთან, საბოლოოდ ვუთანხმებ მმარში წასვლის ვადას და მიმყავს ზოოლოგიურ ბაღში.

ვსეირნობთ და ვათვალიერებთ ფაუნასა და ფლორას. ოლინკა მხიარულია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იღრუბლება:

— გიტო, რას ნიშნავს ეს?

— რა იყო გულიკო!

განზე მიზმობს და ჩემს ახალ საზაფხულო პალტოზე მითითებს. პალტოს ვიხდი და თავზარი მეცემა: მხრები ნახევრად მორღვეულია, ხოლო ზურგის ნაკერი მთლიანად გარღვეული...

გარღვევა!... აი, რისი მეშინოდა!..

პალტოს მკლავზე ვიდებ და ოლინკას გვერდით მოვდივარ უხმოდ.

ხანგრძლივი ხვეწნის შემდეგ იგი მთანხმდება შემირიგდეს და საღამოს ოპერაში წამოვიდეს.

ვიდივართ ოპერაში, ახლა მოფრთხილებით ვმაწვილებთ! ჩემი ახალი კოსტიუმი ელავს, როგორც... ერთი სიტყვით, ასე ქვია — ელავს (?!?).

მეორე ანტრაქტამდე ყველაფერი კარგად იყო და ოლინკა თვალს არ მაშორებდა. მხოლოდ ანტრაქტის დროს მივიქციე მე ბევრის ყურადღება. ოლინკასთან ხელგაყრილს, განუშორებლად მდევდა ახალგაზრდათა ჯგუფები. ყველა მხიარულად იღიმებოდა. ეტყობოდა აღტაცებული იყვნენ ჩემი კოსტიუმით...

მეხუთე ანტრაქტზე მე უკვე საერთო აღტაცების ე. წ. ობიექტი ვიყავი, მანამ, სანამ ჩემს ოლინკას ფეხსაცმლის ძირი არ გაეხსნა და მის შესაკრავად არ დაიხარა. ამასობაში მე სამიოდე ნაბიჯით გავუსწარი ოლინკას და...

უცებ მისი შეკივლება მომესმა. „უი"-ო და გული წაუვიდა.

ხელი ვსტაცე, გარედ გამოვიყვანე, მოვასულიერე და შინ მომყავს, მაგრამ არ მოდის.

— რაშია საქმე? რას მერჩი?

— მომშორდი... ვერ გაგიძლებ... უკან, შარვალი...:

ზურგს ქვემოდ ვუვლებ ხელს და ჰოო სირცხვილო... შარვლის გარღვეულ ნაკერში მიცურდება ხელი...

ალლარ-ალლარხან.

# რედაქტორთან

„ზოგიერთ სარაიონო გაზეთში მეთაურწერილები იწერება გაუგებარი ენით".

ნახ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლმეურნეები: გადაგვითარგმნეთ, რა წერია ამ მეთაურში ამხანაგო რედაქტორო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ შეჭამა

## მაკე ცხვრები

— ზესტაფონის ფერომარგანეცის მუშათა მომარაგების დარგში ყველაფერი რიგზე არ არის! საჭიროა ჩვენი თვალი იქაც შეიჭრას!—ბრძანა ნიანგმა და მეც იქითკენ „მოვუსვი". უკვე მატარებელში ვზივარ.

არ გაკოცო არ იქნება,
გაკოცო და რათა,
მე გახლავარ კონდუქტორი
იმანიძე დათა...

ხმამაღლა ღიღინებს ჩვენი ვაგონის კონდუქტორი.

— ამ გათენებამდე ხალ მოასწრო ამ ოჯახქორმა გადაკვრა! ღიმილით მეზაერება.

— ჰმ, თქვენ მაგი გიკვირთ ამხანაგებო, მე კი უარესი ამბავი ვიცი.

— რის შესახებ?

— ჩვენი ფეროს შესახებ.

— ფეროს?!—ვცქერი ყურებს რა ამბავია, თქვი! მაგიერში ზესტაფონში რომ ჩავალთ, სვირის ღვინო ჩემზე იყოს!—ვუთხარი თანამგზავრს.

— ფერო-გიგანტის მუშებს საგარეუბნო მეურნეობისათვის სვირში მისცეს 300 ჰექტარი მიწა. საკავშირო გაერთიანება „სპეცსტალმა" გადმოგვიგზავნა 100 ათასი მანეთი მეურნეობის გასაშენებლად, მაგრამ ჩვენი საქმე უკუღმა წავიდა. ასი ათასი მანეთი გაანიავეს და საგარეუბნო მეურნეობაც გაანადგურეს.

— ეჰ! ეჰ!.. ახალ დირექტორს რაღა დაგიმალო. გაგიგონია **შ. წაქაძე**. ის დირექტორად იყო იქ.დიდი ცდისა და „გამოგონების კაცი იყო. შეუდგა იმის გამოკვლევას, რომ მაკე ცხვრის ჭამა სჯობია თუ არა.

— ჩემის აზრით, მაკე ცხვარი გემრიელია,—დაჟინებით აჯერებდა დირექტორი მეურნეობის ზოოტექნიკოსს **ჯულელს**. ჯულელი ცოტა დაფიქრდა, თმებზე ხელი გადისვა და ცოტა სიჩუმის შემდეგ თქვა — სტუდენტობის დროს, მახსოვს, ლექტორმა აგვიხსნა, თუ არ ვცდები, ადამიანმა რომ მაკე ცხვარი ჭამოს, შეიძლება თვითონაც ფეხმძიმე გასდესო.

ამ ამბავმა ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა შ. წაქაძე, მართლაც, ვთქვათ და ვჭამე მაკე ცხვარი და დავორსულდი; მერე სადღა გამოვყო თავი? არა, საჭიროა ვეტექიმის მოყვანა.

ზესტაფონის ვეტექიმი ხელად გაჩნდა.

— მაკე ცხვარმა სიცხიანობა იცის. ვფიქრობ ადამიანი გააცოფოს კიდეც, მაგრამ ნუ გეშინიათ ეხლავე შევამოწმებთ,—სთქვა ზესტაფონის ვეტექიმმა სიცხის საზომი გამოიღო, ცხვრებმა ერთმანეთს გადახედეს და თვალებით ანიშნეს—ჩვენ აქედან დროზე თუ არ უშველეთ, წინაგრძნობა მეუბნება, კარგი რომ არ მოგველის, საცაა ბატკნები უნდა მოვიგოთ და მაგენი შვილებს არ შეგვარჩენენ.

ვეტექიმმა სიცხის საზომი გამოიღო—42 გრადუსია, მაგრამ.. საშიში არ შეიძლება მაგათი ჭამა, გაცოფდებით! შ. წაქაძე ერთი წუთით თავდავიწყებას მიეცა(ამ დროს ცხვარის ცვრიანი მწვადები თვალწინ წარმოენაზე ნერწყვი მოადგა)—მაგრამ სიცხე იმის ბრალია, რომ ცხვრებს გრთი კვირაა არაფერი უჭამიათ. დავკლათ და ვიქეიფოთ! წარმოსთქვა მან. ამგვარად ექიმისა და ზოოტექნიკოს მონაწილეობით 17 მაკე ცხვარს კისერი გამოღადრეს და ქეიფი გამართეს. კახური არ ქონდათ მაგრამ ქეიფი არც ამით შეფერხებულა.

— „ატვეჩაეტ სვირსკოე ვინო"—გაიძახოდნენ მოქეიფეები. ზოოტექნიკმა **ჯულელმა** და აგრ. ვ. **ჯულელმა** ცხვრების დახოცვით სხვაზნაირადაც მოიგეს: ისინი თავიანთ საქონელს საგარეუბნო მეურნეობის საკვებით კვებავენ და იოლად გამოდიან. საწყობის გამგე **მუმლაძე** ხედავს ამას და „ნამუსს უნახავს", რადგან არც თვითონ არის აბრამის ბატკანი...

**ივანიკა.**

# ხუმრობის გარეშე

პირველად განზრახული გვქონდა ეს წერილი დაგვეწერა კაჭრეთის მეძროხეობის საბჭოთა მეურნეობის შესახებ. (იხ. მე-16 გვ.) მაგრამ შემდეგ ვამჯობინეთ წერილისთვის საერთო ხასიათი მიგვეცა. ეს იმიტომ, რომ მოსალოდნელია ანალოგიური ამბები სხვა მეურნეობებშიაც ხდება. ამგვარად, თუ მიხვდებიან, ეს წერილი მათაც შეეხება. ხოლო თუ მაინცდამაინც არ „შეიხებენ", მაშინ კედლის გაზეთების რედაქციებს შეუძლიათ ამოსჭრან და გაუშვან გაზეთში:

## უვარგისი მუშაკები

ჩვენი უჯრედის მდივანი ამხ. *) თავს არ იწუხებს მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა დამუშავებისათვის მუშამოსამსახურეებში, როცა შევეკითხეთ: ამხ. . . . . . რატომ არ ამუშავებ ამხ. სტალინის მოხსენებასა და ყრილობის დადგენილებებს, მან გვიპასუხა:

მალე შევუდგები, სულ მალე. ჯერ მე უნდა შევისწავლო კარგად. ღამეებს ვათენებ. ჯიბით დავატარებ ამხ. სტალინის მოხსენებას. ზოგიერთი ადგილები ზეპირად დავისწავლე. დამიწყლია მაქვს ხაზებით საგულდაგულო ადგილები. მაგრამ ყველა ადგილი საგულდაგულოა და წიგნი სულ დახაზულია!

— აბა გვაჩვენე!—და როცა წიგნი ჯიბიდან ამოვიღეთ, გაუჭრელი აღმოჩნდა, ისეთი იყო, როგორც სტამბიდან გამოვიდა.

— შენ მაინც რას აკეთებ, რომ ამდენს ლაპარაკობ და საქმე კი არაფერი ჩანს?—შევეკითხეთ ადგილკომის თავმჯდომარეს ამხ. . . . . რომელიც სიტყვის კორიანტელს აყენებდა თავის კაბინეტში.

— მე თუ არაფერს ვაკეთებ, აბა როგორ არსებობს ჩვენი მეურნეობა? თქვენ იცით თუ არა, რომ ადგილკომის თაოსნობით და ინიციატივობით ძროხების მდგომარეობა და პროფესიონალური მომსახურება იმდენად გაუმჯობესდა, რომ ასიდან წელიწადში ორი ხბოს მოიგებენ. აი, ამას ჰქვია ნამუსი, რომელსაც მეცხოველეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ჯიშის ძროხები ჰოლანდიაშიაც არ არის და განა ეს მუშაობა არ არის!

— სტალინის მოხსენებისა და ყრილობის დადგენილებები დაუყოვნებლივ უნდა დავამუშაოთ.

— შენ ხომ არ გაგიჟდი? თქვენ ვისი მოხსენების დამუშავებას ბედავთ. მეორეჯერ არ წამოგცდეთ ეს ოპორტუნისტული სიტყვა, თორემ ისეთნაირად დაგამუშავებ, რომ მაშინ გაიგებ, როგორ უნდა დამუშავება.

აი, ასე ესმით მუშაობა ჩვენს მეურნეობაში პარტპროფორგანიზაციის მუშაკებს.

ალბათ გარდატეხა მანამდე არ მოხდება, სანამ რაიკომი სათანადო ზომებს არ მიიღებს.

**ზეუკი.**

*) აქ, და სხვაგანაც, ასეთ ადგილას ჩაუმატეთ სახელი და გვარი, ანდა სხვა, საჭირო სიტყვა, რომელსაც ტექსტის შინაარსი მოითხოვს.

# განბიღებელი „სპეცები"

სოფ. გლდანის (ტფილისის გარეუბანი) კოლმეურნეობის საქონლის ფერმას მე-ცხოველეობის საქმეში სრულიად უვიცი პირები განაგებენ.

ნახ. ქოქიაშვილის.



— ჩვენი ჩანაწერების მიხედვით ამას მარტში ხბო უნდა მოეგო; ახლა კი უკვე აპრილია და სიკეთეს მაინც არ შვება: გაბერწდა ნამდვილად გაბერწდა.

# თესვა სამტრედიის რაიონში

ყველგან, შინ და გარეთ,
ხმა მქუხარე გვესმის:
— მეტი ყურადღება,
კამპანიას თესვის
უმალ შველა სადაც
ჯერ ნორჩი აქვს ფესვი!
უკეთესი გახდეს,
მასზე უკეთესის.
მოუხნავი დარჩეს
ოდენა არც ნემსის!
თესვის დროსა ქონდეს
მას იმედი თესლის!—
(და ეს სიტყვა ჭულაკს
რისხვად განაღესი,
როგორც გვრგვინვა, მეხი,
დაეცემა კვნესით)
თუმცა გაიშალა
მუშაობა ჩქარი,
თუ ყოველგან არა,
ნაკლი მაინც არი.
ველავ ზოგ სოფელს ახლავს
ძველი გზა და კვალი!
ველარ დათმო კიდევ:
აზნაური და კავი
ბუთანს ქანცი ადევს,
ოუბილივით შავი!
პირუტყვი სულს ლაფავს,
ახა გამომშრალი.

ზმო-ნოღამ ამ მხრით
შეირცხვინა თავი!
გამოჩინებულმა
დაუმშვენა მხარი.
ბაშმა, გორმალალმა.
შეძრა მთადაბარი —
გუშინდელსა იმედს
დღეს გაუღო კარი.

ჯიხაიში მიდის
გამძლეობით წინა!
ლანირი კი უკან,—
ჭაგანიც ვერ ბრწყინავს.
კულაში და გომი
ფაცი-ფუცობს შინა!
იანეთი იბრძვის
და ბრძოლაში ქშინავს.
საჯავახო, ეწერს
ეჯიბრება, მარა,
ლელო გამარჯვების
ჯერ ვერ გაიტანა.
სამტრედია თვითონ
სხვას შეცქერის განა?—
დარი უნდა იყოს
და არ გადიდარა.
მას ყველაზე მეტი
ლოდი ადევს თანა!
გეგმას ვერ ასრულებს
და ლრუბელი ფარავს.
ყურადღების ცენტრში
კამპანია თესვის.
მოუხნავი დარჩეს
ოდენა არც ნემსის!

ჭაბნელი ბზიკი

### ხატანები

1.

ჩვენო საბჭოს თავმჯდომარევ
შენი საქმე როგორ მიდის
როდის ფიქრობ შეკეთებას
უვარგისი გზა და ხიდის?..

2.

კოოპგამგეს ომი ქონდა
აქ, ნოქრებთან, გამართული,
საშიროა, რომ ნიანგმა
დაუამოს მებრძოლთ წყლული...

3.

სამკითხველო მოგვაგონებს
ლორისა და თხების ბაგას,
ყურადღებას არვინ აქცევს,
მოუხდება ცოცხი მაგათ!

გრიელი

# რიგა-რიგა

## სადგ. ქუთაისი*)

(სცენაზე მესამე განყოფილება, საქონლის კანტორა, საბარგო განყოფილება და სად. ანგარანი)

**კლიენტი:** (სად. მორიგეს)—თქვენ ხართ მორიგე?

**მორიგე:**—მე გახლავართ რით შემიძლიან გამსახუროთ.

**კლიენტი:**—ერთი კვირაა ჩვენი ვაგონი მოვიდა და დახსნას ვერ ველირსე.

**მორიგე:** მაგ მე არ მეხება. მიმართეთ სადგურის ანგარანს.

**კლიენტი:** (ანგარანში)—ვაგონი მაქვს დასახსნელი.

**მაანგარიშე:** მიმართეთ საქონლის სადგურს.

**კლიენტი:** (საქონლის სადგურს)—ვაგონი მაქვს დასახსნელი.

**საქ. სადგური.** საბარგო განყოფილებას მიმართეთ.

**კლიენტი:** (საბ. განყოფილებას)—ვაგონი მინდა დავიხსნა.

**საბარგო განყოფილება.** მიმართეთ ტექ. კანტორაში.

**კლიენტი:**—რაშია კაცო საქმე რომ მატარებთ აქეთ-იქით?

**საბ. განყ.**—რა გაკვირებს! მიმართე სასტავიტელს და მოგინახავს შენს ვაგონს.

**კლიენტი:** (შემდგენელს) — თქვენ ხართ სასტავიტელი?.. თქვენზე კუფილა საქმე.

**შემდგენელი:** — საქმე და მერე რამდენი საქმე! ამდენი ვიკეტკები, პრიცეპკები, სასტავები და რა ვიცი. თქვენ ვაგონს დღეს ვერ ჩავაყენებ პლატფორმაზე.

**კლიენტი:** ბოლოს და ბოლოს ანგარიში უნდა გაუწიოთ თუ არა ორგანიზაციას.

**შემდგ.** მერე და მე ვინა ვარ?

**კლიენტი:**—საბჭოთა მოსამსახურე.

**შემდგენელი:**—კაი ბიჭი ხარ, მაგრამ გამოუცდელი. რა უნდა შენს ვაგონს ამდენ ხანს ტუპიკში?

**კლიენტი:**—საცთელი არ დამიკლია.

**შემდგ.**—სწორია რომ დააკელი, შენ ნარიმანის ყაფანი იცი?

**კლიენტი:**—ეხლა კი მივხვდი. წადით, ოღონდ ჩვენ მოსვლამდე ჩააყენებინე.

**შემდგენ.** (უკრავს სასტავიტ.): — კოჭკოჭია, კოჭკოჭია, გამოაგდე ვაენი პლატფორმიდან პარტავოი. წაიღე ზადნი ხოდით და მიეცი დეპოში. შედი ჩეთვორთში გოლუბოი ვიკეტკა კრიტი ვაგონს და გააყენე ვაგონი პლატფორმაზე. მე ალერ შევიარ ახალი ნარიადების მისაღებად.

**დარაჯი:** (სადგ. მორიგეს)—თბილისი მევიდა ნაჩანიქ.

**მორიგე:**—გახედე რამეს არ დაეჯახოს.

**დარაჯი:** უკვე დადგა.

**მორიგე:** ხვოსტი ხომ მოყვა?

**დარაჯი:** (გაიხედავს) მოყოლია.

**მორიგე:** აბა თავიც ქე იქნება. (რეკს ტელეფონზე) დეპო, დეპო, დრო არის გამოუშვათ პოგლაენში?

**კონდუქტორი:** რას შვები კაცო, პოგლავენში ხომ ტფილისის სასტავი დგას.

**მორიგე:**—დეპო! დეპო! პოგლავნი ზანიატია, არ გამოუშვა დეპო!.. დეპო! არიქა მიშველეთ (ატყდება საყვირების სტვენა) მიშველე ზანიატ ფუთში შიმოდის ორთქლმავალი. დაახვივნე, ჩააყენე პრახოდში, კოჭკოჭია, ჩააყენე. პრახოდი გააკეთეთ.

'ოსტაიდი.

*) იხ. მე-7 ნომერი

# ახალი ჯიში

ნახ. ისაევის.

ტფილისის ზოოპარკის დირექტორი რომ მუშებისადმი უხეში მოპყრობაში რეკორდი დაამყარა, მისი „მიღწევები" ამ დარგში აღშფოთებას იწვევს.

ნიკო.



— ხედავ მამილო? ეს მხეცი ლომი ან ვეფხვი უნდა იყოს.
— არა შვილო, ეგ ზოოპარკის დირექტორია.

# კაკალ გულში

## ხამიძაძის კოლექტივი

ვლადიმერ, შენ გეუბნები
მოგვაპყარი სმენა.
მუშაობა გეხარება
როგორც კამეჩს რბენა!

თავის ქებით „ახალე"
სავსე გაზეთი,
დაჯილდოების ღირსი ხარ
მუშაკი ასეთი!

გამარჯვება შენი, პლატო
როგორა გყავს ხარი?
შიმშილისგან ხომ არ არის
ჯერეჯერობით მკვდარი?

სამუშაოდ აღარ ვარგა,
უნდა გითხრა სწორი,
(როცა ვნახე — მომაგონდა
მორბელაძის ჯორი!)

წყლის არხები გაეიყვანეთ:
მინდორზე და ხნულში,
გენაცვალე შრომის გმირო, —
პავლევ! — „კაკალ გულში!"

ხამიძაველი.

# სამი გმირი

(აბარ. აბასთუმანი)

— თქვენი გვარი და სახელი?
— გიორგი ქურდოვანიძე!
— რა მოხელე ხართ?
— აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს დირექტორი.
— რა მიგიძღვით ამ ქვეყნად ცოდვა?
— საიდან დავიწყო?
— საქონლის ფერმიდან!
— ჩვენ გვქონდა ღორების ფერმა. ღორები თავისით საჭმელს ვერ შოულობდენ, ამიტომაც, ფერმის გამგე ბელეცკის დახმარებით, შევადგინეთ აქტი როგორც უვარგისები და უყავით ლიკვიდაცია, დავკალით ყველა. აქ ცოტა იშკილი გავაკეთეთ: კარგი ნაჭრები დავამარილეთ, ცუდი კი მუშა-მოსამსახურეებს მივყიდეთ კილო ათ მანეთად, ღორების ფერმა მოვსპეთ.
— დამარილებული ხორცი?
— დამარილებული ხორცი — 500 კილო იყო, სამასი კილო ტფილისში წავიღე, იქ ფუროს ამხანაგებს დავურიგე.
— შენ რამდენი წაიღე სახლში?
— მე ცოტა, უმარილო ხორცი 50 კილო, მარილიანი არ მახსოვს რამდენი იყო.
— ძროხების ფერმაში?
— დავკალი, დავკალი, ძალიან ბევრი დავკალი!
— ჯიშიანი ძროხები დაკალით?
— ჰო, ჯიშიანი, დაავადდენ და დავკალით. ერთს შვიდი თვის ხბო ამოუვარდა მუცლიდან, საწყალი ჯეირანი, რა კარგი იყო. დავკალით და დავამარილეთ, თუმცა დამარილებული ხორციც გაგვიფუჭდა, მაგრამ არა უშავს.
— რამდენი დაკალით?
— არ მახსოვს, ოთხი იყო, თუ ხუთი.
— რამ დაავადმყოფა?
— ბელეცკის და პუმბურიძის მიერ როსტოვში შეძენილმა თივამ. ძალიან ცუდი იყო, თანაც დამპალი და სულ გაანადგურა საწყალი ძროხები. რომ მაგონდება, პირდაპირ ტირილი მომდის. პატარა „ნედორაზუმენიე" მოუხდათ მაგაში, მოტანილი თივა გარეთ წვიმაში დაყარეს, სველი თივის წონის გაგება შეუძლებელი შეიქნა, კომისიაც გამოყვეს, ამხ-ბიჭებისაგან შესდგებოდა და საქმე წყალმა წაიღო.
— კიდევ, კიდევ?
— კიდევ რა ვსთქვა, ერთი მაგიდა გავაკეთებინე ჩემთვის საკუთრად, „კაზინოს" ანგარიშზე. ძალიან წითელია და ამერიკული უჯრებიანი. ძალიან კარგი საწერი მაგიდაა.
— კი, მაგრამ საწერი მაგიდა შენ რად გინდა, რომ არაფერი მწერალი მყავხარ. არც გაზეთების კითხვა გიყვარს?!
— ჰმ, ინვენტარია, სახლში, ლამაზია, რასაც შეიძენ, ის შეგრჩება.

2.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?
— ფეოდორ ალექსანდრეს-ძე ბელეცკი!
— თქვენზე ამბობენ...
— მე მგონია ცუდს ვერაფერს ვერ იტყვიან: პირველ რიგში, ჩემს სპეციალობას არავის არ ვასწავლი. არ მინდა იცოდეს სხვამ. მართალია, ცნობილ თივისათვის როსტოვში რომ გავფრინდი, მაშინ ფერმაში წყალში ჩაყრილი ვიჩინა დავტოვე. არ ვასწავლე არავის, თუ როგორ უნდა შეენახათ. ამიტომ ოთხმოცი კილო ვიჩინა წახდა, ეს გიგამაც იცის. როსტოვის თივიდან ბევრი ვქაფეთ. საქმე კარგად წავიდა. ფერმაში ძროხებს როგორც მინდა შევამოწმებ და როცა ხორცი შემომაკლდება, ვკლავ. კალბასებსაც ვაკეთებ ჯიშიანი ძროხის ხორციდან.

# მეგობრული შეხსენება

ნახ. ისაევ-ის.

„ნატარების კოლმეურნეობის ბოსტანს ღორები ანადგურებენ და ყურადღებას არავინ აქცევს".



— აი გოლცვეენია შე უსინდისო? ცხრა გოჭის დედა ხარ და რავა იკადრე ბოს-ტანში დაუკითხავად შემოსვლა?

3.

— თქვენ კორიძე ხართ?
— დიახ!
— რა გააკეთეთ არაზინდოში ყოფნის დროს?
— არაზინდოში ყოფნის დროს გავაკეთე დაახლოებით 7—8 ათასი მანეთი, რაა, ახლა რვა ათასი მანეთი,
— კიდევ?
— კიდე.., ჰო ახლა მომაგონდა: ვარხანელ კოლმეურნე გლეხ მურთაზას ერთი ცხვარი გამოვტყუე, ორას მანეთ ფულს დავპირდი და ისე გამოვეპარე, არ მიმიცია, რა უჭირს ასე რომ გაქაფოს კაცმა?!
— კიდევ?
— კიდევ სიდედრის სატირლად ვიყავი გურიაში, იქ ერთი თვე დავრჩი (კარგია მაინც სოფელში გასეირნება) ეს ერთი თვე გიორგი ქურდოვანიძემ მივლინებათ ჩამითვალა. წასვლისას ორი ათასი მანეთი ჩამიჯიბა, ვითომც ავტოს „პაკრიშკების" საყიდლად. მერე რა, მეც მიქნია მისთვის სამაგიერო კარგი. ის არ იყო, ზაფხულში მთელი ერთი თვე არაზინდოში — ჩემთან?
— კიდევ?
— კიდო ახლა ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვი, ციხეშიაც ხო ვიყავი გაფლანგვისათვის, ეს ხომ ახალი საქმე არ არის, ამაზე გამასამართლეს და თავი „დავიხსენი". შემდეგ ეს არის — არაზინდოს „ზავხოზათ" დამნიშნეს.

ფოსფორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გმირი" და „ცხენი"

ნახ. ქოქიაშვილის.

ამხ. სტალინმა პარტიის ყრილობაზე განაცხადა, რომ დღეის შემდეგ პასუხისმგებლობა გარღვევებისათვის და ნაკლოვანებათათვის ჩვენს მუშაობაში ცხრამეათედით დაეკისრება არა ობიექტურ მიზეზებს, არამედ თვითონ ჩვენ და მარტო მხოლოდ ჩვენ. (ამხ. სტალინის მოხსენებიდან მე-17 პარტყრილობაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გმირი" ამ „ცხენთან" შეზრდილი იყო,
შესტრფოდა „ლურჯას", მით თვალის ჩინსა
ჩავარდნების ჟამს საფრთხეში მყოფი
მით იფარებდა ხიფათს და ჭირსა.

(იხ. მე-9 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ. ტოქიაშვილის.

მხედარი მიწას დანარცხებული
კვლავ ვეღარ იხსნას მერანმა ამან:
„გაფრინდა ცხენი, ვით შევარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მოსცა მთამა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩი მოღვაწეები

„თიანეთის რაიონში პიონერ-რაზმების მიერ მოზარდ პიროტყვზე შეფობის აღების საქმე სუსტად მიმდინარეობს. ზოგიერთი სოფლის რაზმები მარტო დადგენილების გამოტანით კმაყოფილდებიან“.

პიონერ კორესპონდენტის წერილიდან

ახირებული ვინმეა რაზმის ხელმძღვანელი ტიტიკო: ერთი რომ დაიჩემოს მაგ.: „სვანეთში უნდა წავიდე“ო, ჯაჭვითაც რომ დააბათ ვერ დააკავებთ. დღესაც ამ ახირების ჟინმა წამოუარა და სხვა და სხვა მიზეზების გამო ტფილისში წასვლა მოინდომა, მოინდომა და შეასრულა კიდევაც. ხოლო რგოლის ხელმძღვანელს—გიგას დაავალა ქალაქიდან დაბრუნებამდე მისი მაგიერობა გაეწია. გიგამ თავისი მუშაობა კრების მოწვევით დაიწყო და ეს საჭიროც იყო: კრების დღის წესრიგში იდგა პიონერ რაზმების მიერ მოზარდ პიროტყვზე შეფობის აღების საკითხი.

—ამხანაგებო! ჩვენი რაიონის ზოგიერთმა სოფლებმა უკვე დიდი ხანია დაამუშავეს საკითხი პიროტყვზე შეფობის შესახებ, მაგრამ ჩვენ დღესაც გვძინავს და ხმას არ ვიღებთ— და გიგამ გაკვრით „გააცნო“ დამსწრე პიონერებს საკითხის „მნიშვნელობა და შინაარსი“.

— ამხანაგებო!—განაგრძობდა გიგა —რაკი ყველამ გავიგეთ, თუ რა მონაწილეობა უნდა მივიღოთ პიონერებმა ამ საქმეში, დავიწყოთ ვალდებულების აღება. მაგ. მე ვალად ვიღებ ვიყო, კოლექტივს რომ ჭრელი ხბო ყავს იმის შეფი და ორ ძროხას სხვას ავიყვან. გიოსაც ორი ძროხა მივცეთ და თუ საჭირო იქნება ერთი ლორიც მივაბაროთ!

—რას ამბობ გიგა, რასა! გინდა კია, რომ რაც ძნელი საქმეა მე მომანდო და შენ კი თავისუფლად იყვირნო?! ლორის შეფად რომ მნიშნავ ეგ სადაურია?! ვითომ არ იცოდე რა ცუდი ხასიათის არიან ჩვენი ლორები: ერთი რომ დაიყვიროთხეს და გაიქცეს მთელი კვირა რომ სდიო ვერარ გააჩერებ. თანაც სულ გადათხრიან ყველაფერს და თუ კარგი ბიჭი ხარ ყოველ წუთს უდარაჯე. არა ამხანაგებო! ლორებზე თუ გინდათ თქვენ აიღეთ შეფობა, მე კი ერთ რომელიმე ხბოზე მიმამაგრე და იმის შეფი ვიქნები!— სთქვა გიომ და ამხანაგებს გადახედა.

— ნუ ცხარობ გიო, ნუ! ისე მოვაწყობთ, რომ არავის ეწყინოს: მე თუ ხბოს მივემაგრები, რომელიც ადვილი საქმე გეჩვენებათ, თქვენ ბატებზე მიგამაგრებთ, ხოლო განსხვავება იმაში იქნება, რომ მე ერთი კაცი ვიქნები ერთ ხბოზე მიმაგრებული. თქვენ კი ორს ან სამ კაცს თითო ბატზე მიგამაგრებთ და რიგრიგობით გაუწიეთ შეფობა! დაამშვიდა ამხანაგები გიგამ.

— კი მაგრამ ეხლავე მოვრიგდეთ. ვინ, რომლის შეფი ვიქნებით, თორემ მერე ერთი-ორი დღე კიდევ დაგვჭირდება მაგისთვის. ეხლა ბევრი აქ არ არის და უიმისოდ რომ გადავწყვიტოთ, მერე რაღას იზამენ, დადგენილებას ხომ არ გადაუხვევენ. კოლმეურნეობას სულ შვიდი ხბო ყავს ჯიროჯიროობით, ისინი ჩვენ გავინაწილოთ და ბატებზე, იხვებზე, ინდაურებზე და ქათმებზე კი სხვები მივამაგროთ. ჰა, რას იტყვით, ბიჭებო, კარგი აზრია თუ არა?

— კარგია! კარგი!

— ამხანაგებო, ანგარიშში ვტყუვდებით ამხანაგებო! გიგამ სთქვა, რომ ხბოზე თუ ერთი კაცი იქნება მიმაგრებული, სამაგიეროდ ლორზე, ბატზე ორ-ორ კაცს მივამაგრებთ, რანაირად შეიძლება ამხანაგებო ამის გაკეთება! ჩვენ კოლმეურნეობას მარტო ათასზე მეტი ქათამი ყავს და თვითეულ ქათამზე თუ ორი კაცი მივამაგრეთ, მაშინ საჭირო გახდება რომ თვით ქათმებმა აიღონ შეფობა ჩვენზე, რადგან ორი ათასი პიონერი სულ არა ვართ და ხბოებს, ლორებს ან ინდაურებს რაღას უპირებთ, სწორედ ვერ გამოდის შენი ანგარიში ამხანაგო გიგა!—ცხარობ-ლადო.

— არავერია ლადო, თითო კაცს თუ კი ხუთი ქათამი და ამდენივე ინდოური შეხვდება ყოველი უკეთესი ეს მათი დასჯა იქნება იმის გამო, რომ ისინი დღეს კრებაზე არ გამოცხადდნენ.

— ერთი რამე გამოგრჩათ ამხანაგებო! ფეხზე წამოიჭრა აქამდე გარინდული პავლე მახვილაძე—თქვენ მხოლოდ ხბოები, ლორები, ინდაურები, ბატები და ქათმები მოგაგონდათ, მაგრამ ქვეყანაზე მაგათზე უკეთესი პიროტყვები ცხოვრობენ და ისინი მთლად დაგავიწყდათ. აბა, თუ მიხვდებით ვინ არიან ისინი!

— ვიცით პო, რასაც იტყვი, კამეჩებზე და ხარებზე ლაპარაკობ, მაგრამ ეს ადვილი საქმე არ არის, კამეჩებს დიდები ძლივს უვლიან და ჩვენ რას გავხდებით!—სიტყვა მოუჭრა ლადომ.

— არა ამხანაგებო! არა! თქვენ იმას ვერ მიხვდებით, რამდენიც არ უნდა იფიქროთ. აბა ყური მიგდეთ მე გეტყვით ყველაფერს: ჩვენ არა ერთხელ გვისწავლია, რომ გარეულ ფრინველებს და ზოგიერთ ცხოველებსაც თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ და ეხლა კი, როცა შეფობის დრო არის არც კი მოგვიგონებია, ამხანაგებო, ნურც გარეულ ფრინველებს დავივიწყებთ! მაგალითად რატომ არ შეიძლება ავიღოთ შეფობა მწყერებზე. ბეღურებზე, კაჭკაჭებზე, ყვავებზე, სკვინჩებზე და სხვებზე! პირადათ მე, თუ ნებას დამრთავთ, ბრაჭულა ჩიტი რომ არის იმაზე მივემაგრები... ჰა,— რას იტყვით ამხანაგებო?

— ეგ ყველაფერი კარგი მოისაზრე პავლე მახვილაძევ. მაგრამ უნდა იცოდე, რომ ბრაჭულა ჩიტი შენი მოგონილი ზღაპარია, ეგ არსად არ არსებობს!

— ცილს რად მწამებთ ამხანაგებო. მე თქვენზე უკეთესად არ ვიცი არსებობს თუ არა ქვეყანაზე ბრაჭულა ჩიტი?!

— მაშ დაენაძლევდეთ!

— ვინც წააგოს; მიმაგრებულ ცხოველს მის მაგიერი შეფობა გაუწიოს. თუ რომელიმე ჩვენთაგანმა ვიშაროთ შერცხვენილები ვიყოთ და ისე მოხდეს რომ 10 ლორის შეფად დავენიშნოთ.

— კარგი გასჭერით!..

პავლე და მისი ამხანაგი დანაძლავდნენ და სიმართლის გასაგებად მასწავლებელთან აფრინეს კაცი, რომელმაც მცირე ხნის შემდეგ მასწავლებლისაგან ამბავი მოიტანა, რომ მას ასეთი ფრინველი არ გაუგონია. ხვალ ორბელიანის ლექსიკონში ნახავდა თუ აღმოჩნდებოდა შეატყობინებდა.

ისე დააინტერესა ჩვენი ბიჭები ამ ჩიტის ამბავმა, რომ კრება შემდეგ დღისათვის გადასდვეს და ოქმის წერაც იმ ადგილას შეწყვიტეს სადაც შავი ასოებით იყო აღნიშნული დადგენილება—არარსებული ბრაჭულა ჩიტის შესახებ.

ყარყუში.

# უკრაინული იუმორი

ზოგ რაიონებში არ სწარმოებს ბრძოლა მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ.



— კატა სახლში დააბი, თორემ მინდორში თაგვები დაიჭერენ და შეჭამენ!

„ხარკოვის დაბალი ტემპერატურის ლაბორატორიამ მიიღო 271 გრადუსი. ეს არის მხოლოდ ორი გრადუსით ნაკლები აბსოლუტურ ნოლზე".
„ზოლოტონოშკის სატრანსპ. კურსების შენობაში საშინელი სიცივეა".



— ნეტა ხარკოვის ლაბორატორიაში გადავიდოდეთ, იქ ცოტათი მაინც გავთბებოდით!



— მიშველე, ექიმო, ვკვდები... ფეხი მოვიტეხე!
— ნუ გეშინიათ... როგორც კი მოგირჩებათ, საუცხოვო წამალს გამოგიწერთ!



— რატომ უშვებს ჩვენი ქარხანა ფარცხებსა და ბარებს? ეს ხომ არ არის ფართო მოხმარების საგნები.

— ეს ხომ ჩვენთვის სულერთია!

— როგორ თუ სულერთია? თანახმად სათანადო დადგენილებებისა, ახლა მთავარია ფართო მოხმარების საქონლის დამზადება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა მხატვრები

## თავისებური „პასუხისმგებლობა"

ნახ. მოსიავასი.

„გურჯაანის სამ. სატრ. სადგურის დირექტორი თესლის ვარგისიანობის შემოწმებას ყურადღებას არ აქცევს".




— რა ჩემი საქმეა თესლის შემოწმება, მე მარტო პასუხისმგებელი ვარ!

## ასეც ხდება

ნახ. მილიტონისა.



— რას იგერება ეს მოქალაქე?
— სარევიზიო კომისიაში აირჩიეს!

## შოფერის ლილინი

ნახ. ე. მაჭავარიანის.



ჰოი ტფილისო, მტკვარისა პირნო,
ხალიჩით ალსავსე ქუჩა-გამზირნო,
შოფერსა გულმა როგორ გაუძლოს—
ოდეს მშვენება თქვენი იხილოს,
რომ კახურ ღვინით გამოთრობილმა
თვისი მანქანა არ გააქროლოს?!

## „იმედი"

ნახ. ზორიასი.

„ტყ. საქპურტრესტის № 77 პურის წერტილში გამგის დაუდევრობით პურის მოტანა ყოველთვის იგვიანებს".



— ზედავ კაცო, ახალი მთვარე ამოსულა!
— მერე რა?!
— ხვალ იქნებ თავის დროზე მოიტანონ ჩვენს წერტილში პური!



# ქამანდი

**ალმზრდელია—უზმაწური, შეგირდს ააჩია ყური!**

(სოფ. სავანე, ჭიათ. რ.)

მასწავლებელი
გახლავთ ოთხწლედის,
კაცი უხეში
სასტიკი, ყბედი!
რუსულად უყვარს
გინება დედის!



მოწაფეებსა
სცემს წარა-მარა,
რამიშვილია
ეს „გმირი" გვარად!

**პროკურორი მანტურია, ბნელ საქმეში ჩაფლულია!**

(გურჯაანი)

კაბინეტში ითვრება
ღვინო მოსდის ქრთამადა,



ძმა-ბიჭებში ყოველთვის
თვითონ არის თამადა!

გურჯაანი საკუთარ
საწველ ფურად გახადა,
შავსა თეთრად ასაღებს
და თეთრსა კი შავადა!

**უხეშია ნესტორი, არ გეგონოთ ეს ჭორი!**

(შორაპანი)

ოფიცერი იყო
მეფის დროში, წინად,
ახლა ფოსტაშია
იქ იპოვა ბინა,
უწესობა ბევრი
აქაც ჩაიდინა.



დარაჯებს ფოსტისა
ცრემლი აღვრევინა!
ოთახი წაართვა
და გარეკა გარედ,
ხალხს საქმისთვის მოსულს
ახლოს არ იკარებს,
გთხოვთ იცნობდეთ ნესტორს
ფოსტის საქმის ამრევს!

**მქლავაძის შესადარია, სოფლის საქმე მთლად არია!**

(ს. ფუთი, ზესტაფონის რ.)

საბჭოს თავმჯდომარეს
უყვარს ღვინის ხუხვა,
თრობის შემდეგ ჩხუბი
და გინება უხვად;
მკლავშიც ლონე ერჩის.
კაცია უკმეხი,
ამ დღეებში მაგრად
მან მიბეგვა გლეხი!



ოტიაშვილია
ამ რაინდის გვარი,
საბჭოთა კონტროლი
ზესტაფონში არის?!

**ნიორაძემ ფული ჭამა, და იმღერა ჩარი-რამა!**

(სადგ. მცხეთა)

რკინის გზის მოლარის
ნიორაძეს გვარად,
ძველმა პურმარილმა
უქმად ჩაუარა.
რევიზიამ უცებ
შეუწუხა გული.



ასამდე თუმანი
ნახეს გაფლანგული!
ოქმი შეუყენეს
ქურდობისთვის—გრძელი.
ქარები გამსახლის
ნიორაძეს ელის!

# სოფიო „მზეთუნახავი“

### 1. გაფრენილი კარები

ერთ მშვენიერ უღრუბლო დღეს კოტიკა კრიჟინიცკიმ (ქვემოთ გავაცნობთ მის ვინაობას) ფაქტის ეზოს სამეულის თავმჯდომარის დასტურით უზარმაზარი რკინის ალაყაფის კარები ჩამოხსნა „შესაკეთებლად“. სამი დღის შემდეგ კარის მესამედი ნაწილი „დაიკარგა“, რამაც „გააკვირვა“ კოტიკა და სოფიო (სამეულის თავ-რე). მეექვსე დღეს ნახევარი კარიღა, ხოლო მეათე დღეს— სულ გაქრა.

— ნეტავი რა დაემართა, ფეხი ხომ არ აიდგა, ან ქონიანი ხომ არ იყო რომ კატას წაეღო?—კითხულობდენ ქორესის ქ. № 16 მცხოვრებლები.

დიახ, ქონიანი (ე. ი. ფულიანი) იყო და კატამ (ე. ი. კოტიკამ) წაიღო იქ, საიდანაც აღარ დაუბრუნებია „შეკეთებული“ კარები.

აღნიშნულ სახლის სამეულის თავმჯდომარის შვარცის წასვლის შემდეგ სოფიო ვარაზაშვილმა თავისი თავი კანონიერ თავმჯდომარედ გამოაცხადა, ფეხი ფეხზე გადასდო და განცხრომას მიეცა.

ამ ეზოში დიდი ხნით ცხოვრობს კოტიკო კრიჟინიცკი, რომელსაც ათიოდე რეგისტრაცია აქვს ქურდობა ჯიბგირობაზე, მაგრამ სოფიოს ეს მხედველობიდან „გამორჩა“ და მისი შემწეობით კოტიკომ პასპორტი ჩაჯიბა.

— რატომ მიეცით პასპორტი კოტიკო კრიჟინიცკის? — შევეკითხე სოფიოს.

— შე დალოცვილო, კაცი თავის მარჯვენით სჭამს პურს და პასპორტს როგორ დაუჭერდი!

— სად მუშაობს?

— როგორ თუ სად მუშაობს! თავის სპეციალობა ხელში უჭირავს.

— მაინც სად მუშაობს?

— აბა რანაირად გითხრა... სულ რამდენჯერმე გაუტეხია ბინა და საიმისო არაფერი მოუპარავს, რომ მაგ უბრალო საქმეზე პასპორტი დაუკაონ.

—ეხლა სად არის კოტიკო?

— რომელიღაც სავაჭრო გაუტეხიათ და იმის გამო „უდანაშაულო“ ბიჭს 3 წელი იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს. ვცდილობ, იქნებ როგორმე დავიხსნა...

სოფიო მეზობლებში თითქმის ყოველდღე სტეხს აყალმაყალს და ჩხუბს და ემუქრება მათ:

— მე, იცით ვინ ვარ, თქვე არამზადებო თქვენა?! ვისაც გავწირავ, ციმბირისკენ გავაგზავნი, მოვსპობ, გავანადგურებ!

### 2. შემწვარი ვარიები

ეზოში სამი ჩასუქებული ვარია დასეირნობდა. ისინი ხიბლავდა და ნერწყვს გვრიდა სოფიოს. ხან იქიდან მოუარა, ხან აქედან, მაგრამ ვერ გაბედა ვარიების სიკვდილით დასჯა.

ახალწელიწადი საღამოა. ვარიები იმ დღით სიკვდილს გადარჩენ და მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ... როცა მშვიდობიანად დაბინავდენ ვარიები საქათმეში ვიღაცის ვერაგული ხელი სწვდა კურტუმში და გამოასალმა წუთისოფელს.

— ტრაგიკულად დაღუპული ვარიები როდის იყიდა სოფიომ?

— კი არ იყიდა საქვეყნოთ მოიპარა. ვარიები ჯიბლაშვილის იყო, რომლის ბინიდან გამო[illegible] და სოფიოს. ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ჯიბლაშვილის ვარიებზე იძია შური და სამივენი სიკვდილით დასაჯა.

### 3. ცხრაკლიტულში

სოფიოს ბინას ხუთჯერ მივადექი და ხუთჯერვე დაკეტილი დამხვდა. მეექვსეთ რომ მივედი იქვე დაკეტილ კართან დავიწყე ლოდინი, მაგრამ ოთახიდან, რომელსაც კლიტე ედო მრავალკამიერი შემომესმა. დაუგდე ყური და რამოდენიმე კაცის ხმა მომესმა. მე გამოვბრუნდი და კიბეებზე ფეხაჩქარებით ჩამოვირბინე. მოპარულ ალაყაფის კარებთან ნაცნობი შემხვდა.

—ხომ არ გაგიკვირდა ეგ ამბავი? —მითხრა მან, როცა ავუხსენი მდგომარეობა, — არ იფიქრო, თითქოს სოფიო მზეთუნახავი იყოს, ანდა თავის ოთახში ჩაამწყვდია ვინმემ, მოგეხსენება მეზობლების „უაზრო“ ჭორები და აი სწორედ ყოველივე ეჭვის გასაფანტავად სოფიო ამ წ[illegible] ხმარობს.

სიტყვა რაიმილიციას ეკუთვნის.

**მიშა ქალმოსანიძე.**

---

# ისევ კერავს

სოფ. ვახანში (ჩარაგოულის რაიონი) ცხოვრობს ყოფ. ვაჭარი პარმენ არევაძე, რომელიც ახერხებს რაღაც მახინაცეებით კოლმეურნეების მიწის ნაკვეთის შესყიდვას და მემამულეთ გახდომას ლამობს.

ზ—ლი.

ისევ ჭრის და
ისევ კერავს,
არევაძის ძველი ჭისა,
კოლმეურნის იმან მიწის

ნაკვეთიც კი მიირთვისა.
კულაკებში
არ წერია,
თუმცა ძველი ვაჭარია.
არევაძე
ჭსელებს ხლართავს
ვინაც ნახა,—გადარია.
თქვენ გგონიათ—
თილისმა აქვს?
ღვინოს ხუხავს კულითაო,
თან იძახის:
„რასაც მინდა“
იმას ვიზამ ფულითაო“.
არევაძე
გზას იჩემებს,
მამულს იძენს, ვით თავადი;
არევაძე
— კულაკია
და კულაკურ საქმეს ჩადის
ამ გმირს პარმენს უძახიან
საბჭოში ყავს ვიღაც ძიძა
ნიანგო, ხომ
გაგაცანი?—
აწ შენ იცი რასაც იზამ!

ქ—რი

---

# ქუთაისი

დიდი სიკეთე ქე გვიყო
ჯიქია ვალოდიამა.
ქუჩები გაგვიასფალტა,
დაგვშვენდა, კიდეც გვიამა.
მაგრამ რად გვინდა? ასფალტზე
დადიან ბლომად ღორები,
რადგან იქა-აქ ზვინებად
დგას ნეხვთა დიდი გორები.

—:—

საჭიროების დროს თუნდაც
ქალაქი მოითარიშოს,
ვერ ნახავს კაცი ქალაქში
საერთო საპირფარეშოს.
სულ სხვანაირი ყოფილა
აქ სისუფთავის გაგება..
ვერ შეძლო დღემდე ქალაქმა
თუნდ ერთის მაინც აგება.

ხ—ტი.

# „წყალნი წავლენ და წამთვლენ"...

„გერმანიაში გამოვიდა ზევერინგის წიგნი: „ჩემი გზა ჰიტლერისაკენ".

ნახ. თოიძის.



ზევერინგის გზა..

## ᲔᲠᲕᲐ

### უბედური შემთხვევა

**ვაშლი.** (ზესტაფონის რაიონი) სახადილოდან მოპარული ხორცით მოიწამლა მზარეული ნიკო ჩიკვილაძე, რომელიც სასწრაფო დახმარებით გადარჩენილ იქნა სიკვდილს. ნიკო ამჟამად თავს კარგად გრძნობს და მიუხედავად ასეთი შემთხვევისა ისევ განაგრძობს ხორცის პარვას.

**ჩინელი.**

### „კულტმუშაობა"

ავჭალა. გამგის ცუბართვით სამკითხველოს ბინა გადაიქცა სალაზღანდარით უსაქმო ახალგაზრდობას. გამგემ აგრეთვე დააკმაყოფილა მათი თხოვნა და პირობა მისცა წაიკითხოს მათ შორის უფასო ლექციები თემაზე: „ლაყბობის ისტორია".

**მეგრი**

### ვის ეხება

ზესტაფონი. სადგურის ბუფეტის მეზავრეებს ხშირად აწუხებს ვიღაც უცნობის" ასეთი სიმღერა:

რომანტიკა მიტაცებს
ღვინო უნდა დავლიო.
და გავიქრო ამითი
ტრფობის ცეცხლის ალიო.
მოწაფე თუ არ მომწონს
კარგ ნიშანს არ დავუწერ,
სიყვარულის გულისთვის
მტერს დავახლი მაუწყოს **უჩა**

### მონადირეები

**ჩაქვი.** სოხუმიდან სანადირო სეზონის დამთავრების გამო უსაქმოდ დარჩენილმა მონადირეებმა ყარამანოვმა და ნემსაძემ ხელი მიჰყვეს ბუშა ქალთა საერთო საცხოვრებელზე ნადირობას და მოაწყვეს თავდასხმა, მაგრამ დამხვდურნი ფხიზლად აღმოჩნდენ და პირში ჩალა გამოვლებული გაისტუმრეს რაინდები.

**ფაიკო.**

# გოდორი

**სერმანს (აქვე) იწერებით:**

**ბარნოვის ქუჩის 26 ნომერში წყალსადენი გაფუჭდა, ეზოში წარღვნა დადგა, სამი კატა დაიხრჩო, მეეზოვემ სანაგვე ყუთში შეაფარა თავი და ძლივს გადარჩა ცოცხალი: შევადგინეთ „საქმე", მაგრამ სასწრაფო ზომების მიღების ნაცვლად ორჯონიკიძის რაიონის სახლთა ტრესტმა მიმართვა „საქმეში" ჩააკერაო.**

ორჯონიკიძის რაიონის სახლთა ტრესტის მუშაკები ალბად ასე ფიქრობენ: „თუ წყალმა სამი კატა ერთად დაახრჩო, რა დიდი ამბავია, რომ ჩვენც ერთი „საქმე" და მიმართვა დავახრჩოთო". ტრესტელმა ამხანაგებმა უნდა გაიგონ, რომ ბიუროკრატიზმის მორევში ხშირად ბიუროკრატებიც ისევე იხრჩობიან, როგორც წყალში ჩავარდნილი კატები.

**მათეს (ს. კახათი, ზუგდ. რ.)** როგორც თქვენი ლექსიდან ჩანს თქვენი კოლმეურნეობის განგეობას საწარმოო გეგმა კოლმეურნეების მონაწილეობის გარეშე შეუდგენია, დასურულ კაბინეტში;მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან: ამას ამტკიცებს თქვენი ლექსის ქვევით მოყვანილი ტაეპი.

როგორია, არ გვინახავს,—
ცისფერია ის თუ რუხი.
გამგეობამ ჩაიცვა
და ზედ აზის, როგორც კრუხი.

თუ ამ ტაეპის შინაარსმაც არ გასჭრა, მაშინ იმ „კრუხს" აფრენის მეტი ვერაფერი უშველის.

**პატარა ოხუნჯეს (მცხეთა)** მე-10 საექიმო პუნქტის გამგის თანაშემწე ქალის შესახებ იწერებით.

**პუნქტის გამგის თანაშემწე
„კაბლუკებზე" დგებაო,
სადაც იმან ფეხი შედგა,
ყველგან ბიჭი ჩნდებაო.**

მერე რას აშავებს ამ შემთხვევაში ექიმის თანაშემწის კაბლუკები?!—არაფერს, გარდა იმისა, რომ ზოგიერთ უშინაარსო ლექსებს „უპატრონოდ" ტოვებს... მიხვდებით რის თქმაც გვინდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბვირაბი ყურში

ნახ. გ. თოიძის.

„ქარელის (გორჯაანის რაიონი) მეკრიზელების საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანს ამხ. სარქისოვს ჯერ არ წაუკითხავს ამხ. სტალინის მოხსენება.., ადგილკომის თავმჯდომარე ავალიანი „პატიოსანი მოლაყბეა“

„კომუნისტი“ № 79.



— ნახირი: — ამ დალოცვილს ჟურებ'აკ სურამის გვირაბი ჰქონია! ამიტომაც არის. რომ ერთ ყურში გაგონილს, მეორედან უშვებს და ჩვენ ამაფერი რჩება!




# უიმედო ავადმყოფი

— ენაზე გეტყობათ და თერმომეტრიც გვიჩვენებს, რომ დიდი გაქვს... ენის ქავილით ყოფილხართ დაავადებული... თქვენი მორჩე იქვთ ამბავია!